

შპს ჯი სი ეს ჯი

ს/კ 405323591

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით მომზადებული

შინაარსი

- 1 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- 2 სრული შემოსავლის ანგარიშგება
- 3 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
- 4 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
- 5 განმარტებითი შენიშვნები
- 5.1 ძირითადი საშუალებები
- 5.2 სასაქონლო მატერიალური ფასეულობა
- 5.3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები
- 5.4 ფულადი საშუალებები და ექვივალენტები
- 5.5 გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები
- 5.6 მოკლევადიანი ვალდებულებები
- 5.7 შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან
- 5.8 შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურება და საქონლის ღირებულება
- 5.9 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები
- 5.10 ფინანსური შემოსავალი/ხარჯები
- 5.11 ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ
- 5.12 დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება
- 5.13 ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

შპს "ჯი სი ეს ჯი" (405323591)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათ. ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	2 425	2 522
არამატერიალური აქტივები		-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 425	2 522
მოკლევადიანი აქტივები			
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები	2	1 226	333
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	3	418	580
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები		-	-
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	487	278
სულ მოკლევადიანი აქტივები		2 131	1 191
სულ აქტივები		4 556	3 713
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
დამფუძნებლების კაპიტალი		35	35
გაუნაწილებელი მოგება		2 323	1 440
სულ საკუთარი კაპიტალი		2 358	1 475
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5	1 221	957
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1 221	957
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	6	240	660
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	6	737	621
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		977	1 281
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		4 556	3 713

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 20 აგვისტო

ხელმოწერა:

ბ-ნი ვახტანგ თედიშვილი, დირექტორი



შპს "ჯი სი ეს ჯი" (405323591)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათ. ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023 დასრულებული წლისათვის	31.12.2022 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	7	2 962	3 094
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	8	(1 248)	(1 558)
საერთო მოგება		1 714	1 536
სხვა შემოსავალი			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	9	(532)	(884)
ფინანსური ხარჯი (ნეტო)	10	(300)	35
სხვა მოგება/ზარალი			
მიმდინარე წლის მოგება		882	687

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 20 აგვისტო

ხელმოწერა:

ბ-ნი ვახტანგ თედიაშვილი, დირექტორი



შპს "ჯი სი ეს ჯი" (405323591)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათ. ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	3 612	3 442
მომწოდებლებისთვისა და მომუშავეებისთვის გადახდილი	(2 907)	(3 115)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	705	327
გადახდილი პროცენტი	(137)	
მიღებული პროცენტი		
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	568	327
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3)	(21)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(3)	(21)
ფულადი სახსრების ნაკადი საფინანსო საქმიანობიდან		
ნეტი სხვა შემოსვალ/გასავალი	-	61
მიღებული სესხები		2 064
გადახდილი სესხები	-241 -	2 161
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(241)	(158)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)	324	148
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	470	322
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი	(307)	
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	487	470

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებული და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 20 აგვისტო

ხელმოწერა:

ბ-ნი ვახტანგ თედიაშვილი, დირექტორი



შპს "ჯი სი ეს ჯი" (405323591)

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ათ. ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	35	753	788
2022 წლის მოგება ზარალი	-	687	687
გამოცხადებული დივიდენდი		-	-
სხვა გამოყენება		-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	35	1 440	1 475
2023 წლის მოგება ზარალი	-	883	883
გამოცხადებული დივიდენდი		-	-
სხვა გამოყენება		-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	35	2 323	2 358

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად
დამტკიცებული და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 20 აგვისტო

ხელმოწერა:

ბ-ნი ვახტანგ თედიაშვილი, დირექტორი



განმარტებითი შენიშვნები

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საანგარიშო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. წლიური ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯი სი ეს ჯი“ (405323591) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში. საწარმოს იურიდიული მისამართია თბილისი, საბურთალოს რაიონი, ს. ცინცაძის ქ., N39, ბ. N14. საწარმოს პარტნიორია ფიზიკური პირი, ზურაბ თედიაშვილი (100%). საწარმოს ძირითადი საქმიანობაა კომპერატორების ამწეების ექსპლუატაციის მომსახურება და მისი ტექნიკური დეტალების/ნაწილების შეკეთება/მიწოდება.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1. მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ არის წარმოდგენილი ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში წარმოდგენილი ყველა საანგარიშო პერიოდის მიმართ.

2.2. წარსადგენი ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები, რომელიც განისაზღვრა საქართველოს ბანკთაშორის ოპერაციების შედეგად, აშშ დოლარსა და ევროსთან მიმართებაში იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 1 იანვარი	2,7020	2,8844
2023 წლის 31 დეკემბერი	2,6894	2,9753

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცემი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკუროს სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ეფექტი აისახება კაპიტალში.

ფულად სახსრებთან და მათ ექვივალენტებთან დაკავშირებული საკუროს სხვაობის ეფექტის წარდგენა ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში საკუროს სხვაობის ხარჯისა და შემოსავლის სახით.

2.4. ამონაგების აღიარება

საქონლის/მომსახურების რეალიზაციასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის/მომსახურების მიწოდების და უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ფასდაკლებებით. ამონაგები არ მოიცავს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ დამატებულ ღირებულების გადასახადს.

2.5. ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

რელიზებული პროდუქციის თვითღირებულება წარმოადგენილია ხარჯების სახით, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ამონაგების ფორმირებასთან.

2.6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, საწარმო ახდენს აქტივის ცვეთის გადახედვას და კორექტირებას, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

2.7. არამონეტარული აქტივების გაუფასურება

ის არამონეტარული აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული ცხოვრების ხანგრძლივობა და, ასევე, ის აქტივები, რომლებიც არიან მზად გამოყენებისთვის და არ ერიცხება ცვეთა ან ამორტიზაცია, ისინი ექვემდებარებიან გაუფასურების ყოველწლიურ ტესტირებას. ის აქტივები, რომლებიც ექვემდებარებიან ცვეთას და ამორტიზაციას, ექვემდებარებიან გაუფასურებაზე ტესტირებას მაშინ, როდესაც გარკვეული მოვლენა ან ნებისმიერი ცვლილება მიუნიშნებს, რომ შესაძლებელია მისი საბალანსო ღირებულება ვერ იქნას ამოღებული. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ სხვაობის ოდენობით, რაც არსებობს შეფასებულ ამოღებად თანხასა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის. გაუფასურების ტესტირების მიზნით, აქტივები ჯგუფდება უმცირესი ჯგუფის დონეზე, რომლის დონეზეც იდენტიფიცირდება განცალკევებული ფულადი ნაკადები. ყოველ საანგარიშო პერიოდზე გაუფასურებული არაფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, მიმოიხილება გაუფასურების შეზღუდვის გაუქმების მიზნით.

2.8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე და მოთხოვნამდე დეპოზიტებს.

2.9. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც იგი წარმოიშვა. კომპანიას სესხი აღებული აქვს საქართველოს საბანკო დაწესებულებიდან.

2.10. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად ყოველთვიურად გაანგარიშებული მოგების გადასახადით დასაბეგრი განაცემებზე დარიცხული მოგების გადასახადის თანხების ჯამისგან.

2.11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების მიწოდების უდიდეს ნაწილს საწარმო ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება. როდესაც რეალიზაციის ოპერაცია სცილდება ნორმალურ საკრედიტო პირობებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

2.12. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ვალდებულებების გადაყვანა ხდება ადგილობრივ ფულად ერთეულში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსის გამოყენებით. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება სხვა შემოსავალში და ხარჯებში.

2.13. დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვა) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.14. კაპიტალი

კაპიტალი საწესდებო კაპიტალს, გაუნაწილებელ მოგებასა და სხვადასხვა რეზერვებს.

დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გაცემა გამოცხადებული იყო ბალანსის შედგენის თარიღისათვის. საანგარიშო პერიოდში კომპანიას დივიდენდი არ გაუცია.

2.15. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საწარმოს ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2.16. მნიშვნელოვანი საადრიცხო შეფასებები, და საადრიცხო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას საადრიცხო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განიცთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად განაპირობებს განიცთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით: აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური ან კომერციული მოძველება.

საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება მოამზადა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის მიხედვით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

საეჭვო ვალდებულებების რეზერვი. კომპანიის მენეჯმენტი რეგულარულად ახორციელებს სავაჭრო დებიტორების გაუფასურების შეფასებას. ამ პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებს და განსჯას გაუფასურების თანხის შეფასებისას იმ შემთხვევაში როდესაც დებიტორი აქვს ფინანსური პრობლემები და ამასთანავე რელევანტური ისტორიული მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი. ამის მსგავსად, მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას კომპანია ეყრდნობა დაკვირვებად მონაცემებს, მათ შორის უარყოფითს რომლებიც ეხება დებიტორების ჯგუფების დონეზე გადახდისუნარიანობის გაუარესებას, ან ზოგად ეროვნულ ან საერთაშორისო ეკონომიკურ პირობებს რომლებიც კორელაციაშია კომპანიის აქტივების გადახდისუნარიანობის სტატუსთან. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივების ისტორიული საკრედიტო მაჩასიათელები და გაუფასურების პირობები მსგავსია მიმდინარე აქტივებისა მაშინ შეფასებისას გამოიყენება ეს ისტორიული მონაცემები.

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა 5.1

ძირითადი საშუალებები		ნაშთი 31.12.22	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.23
ისტორიული ღირებულება					
1	მიწის ნაკვეთი	1 571			1 571
2	შენობა ნაგებობები	564			564
3	მანქანა დანადგარები	443		64	379
4	ავეჯი და ინვენტარი	37	3		40
	ჯამი	2 615	3	64	2 554
ცვეთა		ნაშთი 31.12.22	ცვეთის ღირებულება	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.23
1	შენობა ნაგებობები	31	8		39
2	მანქანა დანადგარები	51	24		75
3	ავეჯი და ინვენტარი	11	4		15
	ჯამი	93	36	-	129
წმინდა საბალანსო ღირებულება		ნაშთი 31.12.22			ნაშთი 31.12.23
1	მიწის ნაკვეთი	1 571			1 571
1	შენობა ნაგებობები	533			525
2	მანქანა დანადგარები	392			304
3	ავეჯი და ინვენტარი	26			25
	ნარჩენი ღირებულების ჯამი	2 522	-	-	2 425

შენიშვნა: კომპანიის უმრავლესობა დაგირავებულია ბანკის სესხის უზრუნველსაყოფად.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა

შენიშვნა 5.2

	31.12.2023 დასრულებული წლისთვის	31.12.2022 დასრულებული წლისთვის
1 მარაგ ნაწილების ნაშთი	1 226	333
მ.შ. საწარმოო დანიშნულების	1 226	333

სატრანსპორტო მომსახურებასთან დაკავშირებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული სასაქონლო მატერიალური მარაგების კერძოდ საწვავ საცხები მასალებისა და სათადარიგო მასალების თვითღირებულებამ შეადგინა 2022 წელს 69 ათ. ლარი და 2023 წელს 156 ათ. ლარი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შენიშვნა 5.3

(ათასი ლარი)

	31.12.2023 დასრულებული წლისთვის	31.12.2022 დასრულებული წლისთვის
1 მოთხოვნები მიწოდებიდან	398	566
2 საგადასახადო მოთხოვნები	20	14
ჯამი	418	580

ფულადი საშუალებები და ექვივალენტები

შენიშვნა 5.4

	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
1 ფული საბანკო ანგარიშზე	487	278
2		
ჯამი	487	278

გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

შენიშვნა 5.5

	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
1 გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები (ზანკის სესხის გრძელვადიანი წილი)	1 221	957
ჯამი	1 221	957

მოკლევადიანი ვალდებულებები

შენიშვნა 5.6

	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
1 მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	240	660
2 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	737	621
ჯამი	977	1 281

შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან

შენიშვნა 5.7

	31.12.2022 დასრულებული წლისთვის	31.12.2021 დასრულებული წლისთვის
1 აშენისა და აშენის დეტალების მიწოდება	1 728	1 353
2 მომსახურების მიწოდება	1 114	741
3 საქონლის ექსპორტი	120	1 000
ჯამი	2 962	3 094

შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული მომსახურება და საქონლის ღირებულება

შენიშვნა 5.8

	2023 წელი	2022 წელი
1 შეძენილი ტექნიკური მომსახურების ხარჯი	(45)	(22)
2 გაყიდული საქონლის თვითღირებულება	(880)	(1 458)
3 შეძენილი სხვა მომსახურება	(323)	(78)
ჯამი	(1 248)	(1 558)

შენიშვნა 5.9

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
1 მომუშავეთა ხელფასის ხარჯი	(369)	(411)
2 დაზღვევის ხარჯი	(9)	(9)
3 ცვეთის ხარჯი	(36)	(39)
4 ტრანსპორტირების ხარჯი	(35)	(134)
5 ქონების გადასახადის ხარჯი	(14)	(14)
6 კომუნალური მომსახურების ხარჯი	(8)	(7)
7 სხვადასხვა ხარჯი	(61)	(270)
ჯამი	(532)	(884)

შენიშვნა 5.10

ფინანსური შემოსავალი/ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
1 საპროცენტო შემოსავალი	10	
2 საკუროსო სხვაობის მოგება/ზარალი	(173)	211
3 საპროცენტო ხარჯი	(137)	(176)
ჯამი	(300)	35

5.11. ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების შესახებ

მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები ააოაშპ-ში მხარეებს შორის.

კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ უწარმოებია.

5.12. დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება

კომპანიის ძირითადი შემოსავალი შედგება კომპლურა ამწეების შეძენა, რეალიზაცია, გაქირავება და ტექნიკური მომსახურებიდან.

5.13. ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 20 აგვისტოს.

ბალანსის შედგენის შემდგომ არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რაც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.